BSB00450, SEEDGUARD: „აგროთესლების მცველები ბიომრავალფეროვნების, აგრობიომრავალფეროვნების, ეკოსისტემური სერვისებისთვის და კლიმატის ადაპტაციისთვის“

მოდული 5. თემის თესლის კოლექციებისა (CSC) და თემის თესლის ბანკების (CSB) ორგანიზება; თესლის წარმატებული მართვა და მდგრადობა

აქტივობა 1.3. ტრენინგები „თესლის მცველები“

სარჩევი

შესავალი 4

თემის თესლის ბანკების მრავალმხრივი ფუნქციები და სერვისები 7

თემის თესლის კოლექციების (CSC) ოპერაციული საკითხები 8

როგორ მოვაწყოთ CSB 11

CSC-ის (CSB-ის) მართვა 13

CSC-ისა და CSB-ის მნიშვნელოვანი საყრდენი ელემენტები 15

CSC-ებისა და CSB-ების მიზნები და ოპერაციული სტრუქტურა 16

ოპერაციული წარმატების განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ასპექტები 17

როგორ შეუძლია CSB-ს დაარეგულიროს მის მიერ განაწილებულ თესლზე წვდომა და სარგებლის გაზიარება? 23

როგორ შეუძლია ფერმერს ან CSB-ს მიიღოს PGR ფორმალური (ინსტიტუციური) კოლექციებიდან? 28

როგორ უნდა გადაწყვიტონ ფერმერებმა, მისცენ თუ არა მესამე პირებს წვდომა მათ საკუთრებაში არსებული კულტურებისთვის მზარდ PGR-ზე? 30

წყაროები 33

შესავალი

თემის თესლის კოლექციებისა (CSC) და თემის თესლის ბანკების (CSB) ორგანიზებისა და მართვის მოდელები მნიშვნელოვნად განსხვავდება. ერთსა და იმავე რეგიონშიც კი ისინი შეიძლება ერთმანეთისგან გამიჯნული იყოს თემატური ფოკუსითა და მართვის სტილით, გამოყენებული მიდგომებითა და ორგანიზაციული მოწყობით, სოციალური სტრუქტურითა და ინფრასტრუქტურით. ზოგ შემთხვევაში ინიციატივა მცირე წევრთა ჯგუფის ძალისხმევაზეა დამყარებული, სხვა შემთხვევაში კი მრავალ ფერმერს აერთიანებს ქსელში. CSC-ებისა და CSB-ების მნიშვნელოვანი ნაწილი ფუნქციონირებს ასოციაციის, ფონდის, კოოპერატივის ან შპს-ის ფორმით; თუმცა საკმაოდ მაღალი წილი (დაახლოებით 25%) არაფორმალურ სტრუქტურებს წარმოადგენს. უმეტესობა არაკომერციულ პრინციპზე მუშაობს, თუმცა რიგი ინიციატივები ქმნის შემოსავალს, რაც მათ საშუალებას აძლევს გაფართოვდნენ და საქმიანობა გააძლიერონ.

თითოეული CSC-ისა და CSB-ისთვის მნიშვნელოვანია SWOT-ანალიზის ჩატარება და იმ საკვანძო ფაქტორების განსაზღვრა, რომლებიც მისი მდგრადობის უზრუნველყოფას შეუწყობს ხელს.

CSC-ები და CSB-ები, როგორც წესი, მცირე მასშტაბის ადგილობრივი ორგანიზაციებია, რომლებიც თესლს მოკლევადიანად ინახავენ და ემსახურებიან კონკრეტული თემის ან ერთ ტერიტორიულ არეალში არსებული რამდენიმე თემის საჭიროებებს. ამ ფორმატს უფრო ფართო მნიშვნელობაც აქვს, რადგან აერთიანებს თემის წევრებს, აყალიბებს პარტნიორობებს და ხელს უწყობს მრავალ აქტორთან ქსელურ თანამშრომლობას — განსაკუთრებით როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ თესლის სისტემებში ჩართულ სუბიექტებთან.

ფოტო: CHI, ასმუნდ ასდალი

თესლის დაცვა/შენარჩუნება შესაძლოა დაიწყოს CSC-ის შექმნით, რომელიც შემდგომ შეიძლება გაიზარდოს და გარდაიქმნას CSB-ად — უფრო ფართო მოცულობისა და კომპლექსურობის მქონე სტრუქტურად, რაც მის წევრთა საჭიროებებისა და მოთხოვნის გაზრდასთან იქნება თანხვედრაში.

ფორმატის მიუხედავად, თემის თესლის ბანკის ჩამოყალიბებისა და მხარდაჭერის პროცესი მოიცავს ნაბიჯებს, რომლებიც უნდა განიხილებოდეს წევრებთან ერთად და პასუხობდეს თემის ინტერესებს, საჭიროებებს, პრინციპებსა და პრაქტიკებს, რომლებსაც CSC ან CSB ეფუძნება.



სვალბარდის თესლის საცავი. ფოტო: CHI, ასმუნდ ასდალი

თემის თესლის ბანკების მრავალმხრივი ფუნქციები და სერვისები



ფოტო: სვალბარდი

თემის თესლის ბანკების ფუნქციები და სერვისები შეიძლება გაერთიანდეს სამ ძირითად მიმართულებად:

1. ადგილობრივი და „მემკვიდრეობითი“ (heirloom) ჯიშების კონსერვაცია/შენარჩუნება და ტერიტორიიდან დაკარგული ჯიშების აღდგენა

2. ბოსტნეულის ჯიშებზე წვდომისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა თემის დონეზე; გაცვლების ხელშეწყობა და მონაწილეობრივი სელექციით გამოყვანილი ბოსტნეულის ჯიშების თესლის წარმოება

3. თესლისა და სასურსათო სუვერენიტეტის უზრუნველყოფა — თესლის კონსერვაციის ადგილობრივი კონტროლის განხორციელება, აგრარული ბიომრავალფეროვნების შესახებ ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება და ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა.

მნიშვნელოვანია ფერმერებისთვის სასწავლო ფორმატების ორგანიზება — სემინარები, ადგილზე დემონსტრაციები და სხვა. თემები შეიძლება მოიცავდეს:

- CSB-ების გაცნობა — მიზანი და მის საფუძველში არსებული ფილოსოფია;
- ძირითადი ფუნქციებისა და სერვისების დეტალური აღწერა და მათი დაკავშირება იმასთან, თუ რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს CSB-მა თემსა და რეგიონს.

თემის თესლის კოლექციების (CSC) ოპერაციული საკითხები

კულტურების შერჩევა და თესლის შეგროვება

ადგილობრივმა ბოსტნეულის მწარმოებლებმა უნდა განიხილონ და შეთანხმდნენ, რომელი სახეობები და ჯიშები შეირჩევა დასაცავად და შესანარჩუნებლად. იქნება ეს მხოლოდ ადგილობრივი ჯიშები თუ ასევე გაუმჯობესებული (სელექციური) ჯიშებიც? CSB-ში შეგროვებული და დაცული ბოსტნეულის ჯიშების რაოდენობა დამოკიდებული უნდა იყოს ადგილობრივ სპეციფიკაზე:

- ადგილობრივად მოყვანილი სახეობების გავრცელება და ხელმისაწვდომობა;
- მათი კულტურული მნიშვნელობა თემისთვის;
- თესლის შესაგროვებლად და CSB-მდე მისატანად არსებული ადამიანური და ტექნიკური შესაძლებლობები;

- რესურსების ხელმისაწვდომობა თესლის მოსაძიებლად და შესაგროვებლად არა მხოლოდ თემში, არამედ მიმდებარე ტერიტორიებზეც;
- ადგილობრივი გენეტიკური რესურსების ღირებულებისა და მათი როლის გააზრების დონე თემის მდგრადობის, სასურსათო უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის უზრუნველსაყოფად, ასევე კლიმატის უარყოფითი ფაქტორების შერბილებისთვის; CSB-ის პოპულარიზაციისთვის საჭირო მხარდაჭერა;
- ხელშემწყობი გარემოს არსებობა.

მნიშვნელოვანი მოსაზრებები

CSB-ის მიღებული განსაზღვრებით, იგი წარმოადგენს ადგილობრივ, ძირითადად არაფორმალურ ინსტიტუტს, რომლის ძირითადი ფუნქციაა ადგილობრივი გამოყენებისთვის ადგილობრივი და ფერმერისთვის სასურველი თესლის შენარჩუნება, დაცვა და გაცვლა (Vernooy და სხვ., 2015).

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ორგანიზაცია, რომლის ძირითადი ფუნქცია თესლის წარმოება და რეალიზაციაა, წარმოადგენს თესლის საწარმოს და ვერ განიხილება CSC-ად ან CSB-ად, რადგან მისი მთავარი მიზანი არ არის მცენარეთა გენეტიკური რესურსების (PGR) კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება. CSC-ებსა და CSB-ებს მართავს ადგილობრივი მცირე ფერმერებისა და მებაღეების მცირე ჯგუფი. ისინი სერვისს უწევენ მსგავსი ტიპის მრავალ სტრუქტურას როგორც თემში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ასეთ ინიციატივებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც ადგილობრივი მრავალფეროვნების მცველებს იმ პირობებში, როდესაც სხვა წყაროებიდან ადგილობრივად ადაპტირებულ მცენარეებზე წვდომა ფაქტობრივად არ არსებობს.

CSC-ები და CSB-ები ახორციელებენ ისეთ საქმიანობებს, როგორიცაა:

- ცნობიერების ამაღლება, ტრენინგები და ცოდნის მიწოდება
- ჯიშების წარმოშობის, ისტორიის, ძირითადი მახასიათებლებისა და სხვ. დოკუმენტირება

- წევრებისთვის ინფორმაციის მიწოდება
- თესლის შეგროვება, წარმოება, განაწილება და გაცვლა
- გამოცდილების გაზიარება თანატოლებთან და თანამშრომლობით ინიციატივებთან
- აგრობიომრავალფეროვნების პოპულარიზაცია
- თემის ჩართულობა და მონაწილეობა
- წევრთა ფინანსური წახალისების სქემების განხორციელება
- ქსელური თანამშრომლობა პრობლემების გადაწყვეტისა და პოლიტიკის ინიციატივების შესამუშავებლად

არსებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ CSC-ებსა და CSB-ებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული ძირითადი ფოკუსები, რომლებიც დანარჩენ ფუნქციებს ავსებს:

- ზოგი CSB და CSC პრიორიტეტს ანიჭებს თესლის შენარჩუნებას აგრობიომრავალფეროვნების მიზნით
- ზოგი CSB პრიორიტეტად განსაზღვრავს დაკარგული ადგილობრივი ჯიშების აღდგენას
- ზოგი CSB პრიორიტეტად ხედავს კონსერვაციას და მრავალფეროვან თესლსა და გამრავლების მასალაზე წვდომასა და ხელმისაწვდომობას, რომელიც სხვადასხვა აგროეკოლოგიურ ზონას შეესაბამება — უპირველესად ადგილობრივი ფერმერებისთვის.
- ზოგი CSB პრიორიტეტად განსაზღვრავს თესლსა და სასურსათო სუვერენიტეტს

შეჯამების სახით, CSB-ების ფუნქციები და სერვისები შეიძლება დაჯგუფდეს სამ ძირითად მიმართულებად:

- კონსერვაცია (ადგილობრივი და „მემკვიდრეობითი“ ჯიშების შენარჩუნება და ტერიტორიიდან დაკარგული ჯიშების აღდგენა)

- წვდომისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (ჯიშებზე წვდომის შეთავაზება თემის დონეზე)
- თესლის გაცვლისა და წარმოების ხელშეწყობა
- თესლისა და სასურსათო სუვერენიტეტის უზრუნველყოფა (ჯიშებისა და თესლის კონსერვაციის ადგილობრივი კონტროლი, აგრარული ბიომრავალფეროვნების შესახებ ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება და აგრობიომრავალფეროვნების ხელშეწყობა)

ზოგი თემის თესლის ბანკი ფუნქციებს აერთიანებს, მაგალითად:

• კონსერვაცია + წვდომა და ხელმისაწვდომობა

• კონსერვაცია + წვდომა და ხელმისაწვდომობა + თესლისა და სასურსათო სუვერენიტეტი.

როგორ მოვაწყოთ CSB

CSB-ების ორგანიზებისა და მართვის ფორმები განსხვავდება ადგილობრივი სიტუაციისა და გარემოებების მიხედვით (რეგინე ანდერსონის მიხედვით, ფრიდტიოფ ნანსენის ინსტიტუტი, ნორვეგია):

- საბაზისო დონე, ფორმალური მმართველობის საკვანძო ელემენტების გარეშე (როგორც რუანდასა და ბოლივიაში)
- მოქმედებს მოხალისეთა საბჭოს მმართველობით და წევრობაზე დაფუძნებული თესლის ქსელის სახით (როგორც ბრაზილიაში, ჰონდურასში, მალიში, მექსიკაში, ესპანეთში, ტრინიდადში, აშშ-ში)
- მართავს არჩეული კომიტეტი, გამჭვირვალე ოპერაციული გეგმებით; მუშაობს ადგილობრივად შემუშავებული წესებისა და რეგულაციების საფუძველზე (როგორც ბანგლადეშში, კოსტა-რიკაში, ნეპალში, ნიკარაგუასა და ზიმბაბვეში)

- მართულია თესლზე თავისუფალი წვდომის, ღია კოდის და თესლის სუვერენიტეტის იდეოლოგიით (როგორც კანადაში)
- კონტროლდება სახელმწიფოს/საჯარო სექტორის მიერ (როგორც ჩინეთსა და ბუტანში)

რეგინე ანდერსონის შეფასებით, გლობალური სამხრეთის ქვეყნებში CSB-ების უმეტესობა ინიცირებული იყო საერთაშორისო ან ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. რიგ შემთხვევებში ისინი მხარდაჭერილია ეროვნული მთავრობების მხრიდანაც (მაგ., ნეპალში, უგანდასა და ინდოეთში). ზოგი თემის თესლის ბანკი უშუალოდ სახელმწიფო სტრუქტურებმა წამოიწყეს (მაგ., მექსიკაში, ბუტანსა და სამხრეთ აფრიკაში), ხოლო სხვაგან მსგავსი ინიციატივები არც პოლიტიკურ და არც სამართლებრივ ინსტრუმენტებს არ ეყრდნობა (მაგ., შრი-ლანკაში). საერთო სურათში, თემის თესლის ბანკებს ძლიერი სახელმწიფო პოლიტიკისა და სამართლებრივი მხარდაჭერა იშვიათად აქვთ.

ევროპის თემის თესლის ბანკები კულტურების ფართო მრავალფეროვნებას ინარჩუნებენ. ზოგი CSB რამდენიმე კულტურაზეა კონცენტრირებული (ხშირად ერთზე ან 2–3 კულტურაზე), ხოლო სხვა ინიციატივები — განსაკუთრებით ეროვნული მთავრობის მხარდაჭერით მოქმედი — ბევრ კულტურას მოიცავს. ევროპაში CSB-ების მიერ დაფარული კულტურებია მარცვლეულები, კარტოფილი, ბოსტნეული, პარკოსნები, სუნელები/არომატული მცენარეები, ხილი, ვაზი, თხილეული, დეკორატიული მცენარეები, ველური მცენარეები და სხვ. შენარჩუნებული კულტურების დიდი ნაწილი ადგილობრივი ლანდრეისები და ფერმერული ჯიშებია. გარკვეული კომერციული ჯიშებიც, რომლებმაც დროთა განმავლობაში კარგი რეპუტაცია შეიძინეს, ასევე ექცევა მოვლისა და შენარჩუნების ქვეშ.

CSB-ებისთვის თესლის მთავარი მიმწოდებლები არიან მათი დამფუძნებლები და წევრები, ასევე ფერმერები, მებაღეები, მოყვარული მწარმოებლები და

სელექციონერები, რომელთაც ისინი თესლს უზიარებენ ან მათთან ცვლიან. მცენარეთა მასალის წყარო შეიძლება სხვა გენბანკებიც იყოს.

CSC-ის (CSB-ის) მართვა

CSC-ები (CSB-ები) შეიძლება ფორმალურადაც იყოს რეგისტრირებული, თუმცა ძალიან ხშირად ისინი არაფორმალურ სტრუქტურებად რჩება.

CSC-ს კოლექტიურად მართავს თემი — წევრებს შორის მიღებული შეთანხმებული წესით; იგი ეყრდნობა ადგილობრივ კონსერვაციულ დამოკიდებულებებსა და პრაქტიკებს და მცენარეთა გენეტიკური რესურსების გამოყენებას მცირე მეურნეობებსა და ბაღებში. ნორვეგიასა და სხვა სკანდინავიურ ქვეყნებში CSC-ები (CSB-ები) თანამშრომლობენ გენბანკებთან და სამეცნიერო ინსტიტუტებთან. CSC-ების მმართველობა მიმართულია იმისკენ, რომ შთააგონოს და გააძლიეროს თემი თესლის შენარჩუნებისა და ბოსტნეულის ჯიშების მოყვანის გაფართოებისათვის. CSC-ების მართვა პასუხისმგებელია ყოველდღიურ ოპერაციებზე, რათა სტრუქტურა გრძელვადიან პერსპექტივაში მდგრადად ფუნქციონირებდეს. საკვანძო ოპერაციულ ნაბიჯებში ხშირად ერთვებიან ერთგული მოხალისეები — მართვის ძალისხმევის გასაზიარებლად და თემის წევრებში კუთვნილების განცდის გასაძლიერებლად.

CSC-ის სათანადოდ მართვისთვის მიზანშეწონილია მორგებული ტრენინგის ორგანიზება; ასევე გასათვალისწინებელია „კეთებით სწავლების“ გამოცდილება და თანასწორთა შეფასებების (peer review) პრაქტიკა. CSC-ები (CSB-ები) ხშირად იწყება არაფორმალურად, თუმცა დროთა განმავლობაში მართვაში უფრო ფორმალიზებული მიდგომები ინერგება.

ქვემოთ წარმოდგენილია მართვის სხვადასხვა მიდგომა:

1. დასაწყისში ფორმალური მართვა არ გამოიყენება. CSC შეიძლება იმართებოდეს გარე დაინტერესებული მხარეების მიერ, რომლებიც ნიშნავენ მმართველს, ან არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ. ადგილობრივმა პირებმაც, რომელთაც მცენარეთა მრავალფეროვნებასთან აქვთ კავშირი, შეიძლება იტვირთონ მართვის ფუნქცია.
2. CSC (CSB) შეიძლება შეიქმნას გენბანკის მიერ როგორც მისი აფილირებული სტრუქტურა, მცირე ფერმერებისა და თესლის მწარმოებლების ჩართულობით. ამ შემთხვევაში იგი გენბანკის მართვისა და კონტროლის ქვეშ ფუნქციონირებს (მაგალითად: NordGen, POM შვედეთში და სხვ.). თესლის ფიტოსანიტარული კონტროლი, გენეტიკური ხარისხისა და სისუფთავის მონიტორინგი პროფესიონალურად ხორციელდება გენბანკის მიერ.
3. CSC (CSB) იმართება მოხალისეთა მიერ და წევრობაზე დაფუძნებული თესლის ქსელის სახით ფუნქციონირებს. კონსერვაციული და კომერციული საქმიანობა კოორდინირდება ადგილობრივი კომიტეტის მიერ. შესაძლოა, ჩაერთოს კერძო სექტორის მხარდაჭერაც. გათვალისწინებულია საწევრო შენატანები და (ეროვნული რეგულაციების დაშვების შემთხვევაში) თესლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი.
4. CSC (CSB) თავიდანვე იმართება დანიშნული კომიტეტის მიერ, რომელშიც მონაწილეობენ ადგილობრივი ქალი და კაცი ფერმერები. ისინი ჩართულნი არიან ოპერაციული დაგეგმვისა და წესების შემუშავების პროცესში. კომიტეტი ორგანიზებას უწევს თესლის შეგროვებას, გაწმენდას, გაშრობას, შენახვას, განაწილებას და რეგენერაციას (განახლებით გამრავლებას).
5. CSC (CSB) მართავს ღია კოდისა და თესლზე თავისუფალი წვდომის პრინციპით. იგი ყალიბდება თესლის მცველთა მოხალისეობრივ ქსელად (მაგალითად: ნორვეგიის თესლის მცველები). ზოგჯერ შეიძლება ფუნქციონირებდეს როგორც „თესლის ბიბლიოთეკა“ და მხარს უჭერდეს თესლის გაცვლას საერთაშორისო დონეზე.

მოხალისეობრივად მართული CSC-ის მართვის ხარჯი უმეტეს შემთხვევაში საკმაოდ დაბალია. იგი მოიცავს შესანახ სივრცეს, აღჭურვილობას და საქმიანობის მხარდამჭერ

მასალებს. CSC-ის ოპერირების სამუშაოებს, როგორც წესი, მოხალისეები ასრულებენ ან ადგილობრივად შერჩეული პირი, რომლის ანაზღაურებაც შეიძლება თესლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლით (როგორც მიმდინარე პროექტშია რეკომენდებული). ბევრ ქვეყანაში საწყისი (start-up) ფონდი ხელმისაწვდომია სახელმწიფოს ან ევროკავშირის ფონდების მეშვეობით. ფერმერთა ასოციაციებმაც, რომელთა წევრებს „მემკვიდრეობითი“ თესლის მიწოდება აინტერესებთ, შეიძლება დააფინანსონ CSC-ის (CSB-ის) ჩამოყალიბება. შესაძლებელია სხვა მხარდამჭერი ორგანიზაციების იდენტიფიცირებაც.

CSC-ებისთვის ძალიან სასარგებლო იქნება პარტნიორობების ჩამოყალიბება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან — მაგალითად, ეროვნულ გენბანკთან, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან და სხვ. — მდგრადობის მისაღწევად საჭირო მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.

CSC-ისა და CSB-ის მნიშვნელოვანი საყრდენი ელემენტები

CSC-ისა და CSB-ის საკვანძო საყრდენი ელემენტებია ტრენინგი, სწავლება და ცნობიერების ამაღლება, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა და მონაწილეობა. აკადემიურ წრეებთან და, არსებობის შემთხვევაში, ეროვნულ გენბანკებთან თანამშრომლობის გაძლიერება მნიშვნელოვანია თესლის ხარისხისა და „სისუფთავის“ შესანარჩუნებლად. გარდა ამისა, CSC-ებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯაროობასა და მედიაში ყოფნას.

პოლიტიკური მოქმედებები და პოლიტიკის ინიციირება, ისევე როგორც ადვოკატირება, CSC-ებისა და CSB-ების მომავლისთვის ფუნდამენტურია. CSC-ის წევრებსა და სხვა ფერმერებს შორის ურთიერთმხარდაჭერა და ნდობა

განსაკუთრებულად ფასეულია, ისევე როგორც კრეატიულობა, მოქნილობა და ინოვაციურობა. დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებისა და საკუთარი პოზიციის გამოხატვის უნარი ზრდის მდგრადობას. აუცილებელია მედიის მიმართულებით თანმიმდევრული აქტივობა და საჯარო სტრუქტურებთან თანამშრომლობა. ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე სხვა CSC-ებსა და CSB-ებთან კავშირების შენარჩუნება და გამოცდილების გაცვლა ხელს უწყობს CSC-ის წევრებისა და ადგილობრივი ფერმერ-მებაღეთა თემის სწავლასა და თვითგანვითარებას, ასევე კოლექტიური შესაძლებლობებისა და ზეგავლენის გაძლიერებას.
რადგან ფინანსური რესურსების დეფიციტი შესაძლოა CSC-ის წევრთა ამბიციებისთვის შემაფერხებელ ფაქტორად იქცეს, საჭიროა ფინანსური მხარდაჭერის მოზიდვის გეგმის შემუშავება და მისი თანმიმდევრული განხორციელება.

რადგან CSC-ებისა და CSB-ების საქმიანობისათვის საჭირო ადამიანური რესურსების ნაკლებობამ შეიძლება მართვის დინამიკა დააზიანოს, მნიშვნელოვანია საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ადამიანური ძალის მოზიდვის უზრუნველყოფაზე ყურადღების გამახვილება.
საჭიროა თესლთან დაკავშირებული სამართლებრივი პროცესების მუდმივი მონიტორინგი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე, რადგან რიგმა საკანონმდებლო ინიციატივებმა შესაძლოა CSC-ებისა და CSB-ებისთვის სირთულეები შექმნას.

CSC-ებისა და CSB-ების მიზნები და ოპერაციული სტრუქტურა

CSC-ის ან CSB-ის წარმატება დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ეფექტიანად ჩამოყალიბდება საზოგადოებაში ცნობიერება და საერთო გაგება იმ საკვანძო ფაქტორების შესახებ, რომლებიც მიუთითებს თესლის კონსერვაციის საჭიროებაზე, ფერმერებისთვის თესლსა და გამრავლების მასალაზე წვდომის უზრუნველყოფაზე, აგრობიომრავალფეროვნების გაძლიერებაზე, აგრეთვე — CSC-ებისა და CSB-ების მიზნებისა და ინიციატივის აღიარებაზე.

CSC-ის დაწყება რამდენიმე ფაზას მოიცავს:

1. განსაზღვრეთ თემის ინიციატივის მთავარი შთაგონება: რატომ გვჭირდება და რატომ გვინდა CSC ან CSB?
2. განსაზღვრეთ ძირითადი და დაქვემდებარებული მიზნები: აღდგენა, კონსერვაცია, თესლის ხელმისაწვდომობა. რა მიზნის მიღწევა გვსურს.
3. განსაზღვრეთ, ვინ იქნება ბენეფიციარი — CSC-ის წევრი ფერმერები, ასევე თემის დანარჩენი წევრები, მებაღეები და მოყვარული მწარმოებლები თემის ფარგლებს მიღმაც და სხვ.
4. განსაზღვრეთ CSB-ის ფუნქციონირებისთვის საჭირო ფიზიკური, ადამიანური, ფინანსური და მართვის სტრუქტურები.
5. განსაზღვრეთ თანამშრომლობის ფაქტორები მხარდამჭერი ეკოსისტემის შესაქმნელად.

ოპერაციული წარმატების განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ასპექტები

A. ფინანსური ასპექტები

CSC-ის საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა დამოკიდებული იქნება ლოკაციისა და იმ გარემოს სპეციფიკაზე, რომელშიც იგი ფუნქციონირებს; შესაბამისად, შესაძლოა

გამოყენებულ იქნას სხვადასხვა სცენარი: საჯარო დაფინანსება, კერძო დონაციები და სხვ. მიმდინარე პროექტის ფარგლებში საწევრო შენატანები არ არის გათვალისწინებული. პირველ ეტაპზე წევრთა მონაწილეობა მოხალისეობრივ ჩართულობას დაეფუძნება. შემდგომ შესაძლებელია თესლის რეალიზაციისა და ახალბედებისთვის ტრენინგების/კონსულტაციების შეთავაზების გზით შემოსავლის მიღებაც, აგრეთვე — პროექტული დაფინანსების მოზიდვა (ევროკავშირის და სხვა წყაროებიდან).

ევროპული CSB-ების გამოცდილება აჩვენებს, რომ წლიური ოპერაციული ხარჯები შეიძლება იყოს როგორც 1 000 ევრო (მაგ., პორტუგალიასა და საბერძნეთში), ასევე 100 000 ევრომდე (ცალკეულ შემთხვევებში საფრანგეთსა თუ იტალიაში). ფართო განაწილებისა და პოპულარიზაციის აქტივობების მქონე, სახელმწიფოს მხარდაჭერის სტრუქტურებში ინტეგრირებული მსხვილი CSB-ების შემთხვევაში წლიურმა ხარჯმა შეიძლება 1 მილიონ ევროსაც მიაღწიოს.

CSB-ის ხარჯები, როგორც წესი, მიემართება ინფრასტრუქტურაზე (ოფისი, თესლისა და აღჭურვილობის შესანახი სივრცე), მგზავრობაზე, რეკლამირებაზე, მართვაზე (თუ სამუშაოს შესასრულებლად კონკრეტული პირია დანიშნული) და სხვ. ევროპული CSB-ების უმეტესობა ყოველდღიური საქმიანობისთვის მოხალისეებზეა დამყარებული, თუმცა ზოგიერთი მათგანი პროფესიონალ პერსონალსაც ასაქმებს.

მიზანშეწონილია თანამშრომლობა ეროვნულ კონსერვაციულ ინსტიტუციებთან — კვლევის, ტექნიკური ტრენინგებისა და ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად. ასევე, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა პროექტებში შეიძლება ფინანსურად შედეგიანი იყოს და დაეხმაროს ისეთი საქმიანობების დაფინანსებას, როგორიცაა:

- თესლის, ნიადაგისა და კულტურების ჯანმრთელობა
- თესლის მართვა, წარმოება და გამრავლება

- კულტურათა მრავალფეროვნების შეფასება, ჯიშების შერჩევა და დეცენტრალიზებული და მონაწილეობრივი სელექცია
- დოკუმენტირება და რეგისტრაცია
- ორგანიზაციული განვითარება და სხვ.

B. მმართველობა

https://dicoagroecologie.fr/en/dictionnaire/participatory-plant-breeding/https://www.researchgate.net/publication/344150825_PARTICIPATORY_PLANT_BREEDING_AN_OVERVIEWუპირველესად, შემოგთავაზებთ მონაწილეობრივი სელექციის კონცეფციის მოკლე აღწერას, რომელიც სასარგებლოა CSC-ებისა და CSB-ების დაფუძნებისას. გთხოვთ, გაეცნოთ შემდეგ ბმულებს: https://www.adaptation-und-mitigation.de/en/going-on-landraces-and-participatory-plant-breeding

https://openknowledge.fao.org/server/api/core/bitstreams/40f3b212-8e08-410e-9dae-c92816f68729/content

https://www.fao.org/international-treaty/inter-programmes-and-mechanisms/global-information-system/easy-smta/en/

მონაწილეობრივ მცენარეთა სელექცია (PPB) განიხილება როგორც სელექციური სამუშაოს ისეთი ფორმატი, რომელიც ეფუძნება თანამშრომლობას სელექციონერებს, აკადემიურ წრეებსა და ფერმერებს, ასევე მარკეტინგის, გადამუშავების, მომხმარებელთა და პოლიტიკის შემმუშავებელ სუბიექტებს შორის.

ზემოაღნიშნული წყაროების მიხედვით, PPB-ის შესახებ შემდეგი შეფასება გვხვდება:

„PPB წარმოადგენს მცენარეთა გენეტიკური გაუმჯობესების კოლექტიურ მოდელს, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის მკვლევარებს, ფერმერებს, ფასილიტატორებს და სხვ. ეს მონაწილეობრივი მიდგომა ავსებს იმ დელეგირებადი სელექციური მოდელის შეზღუდვებს, რომელიც ომის შემდგომ ევროპაში დამკვიდრდა — მოდელის, სადაც კვლევა და ინოვაცია ფერმერების მიერ დელეგირებული იყო პროფესიონალების, სელექციონერებისა და თესლის კომპანიების შედარებით მცირე ჯგუფზე.

გარდა ამისა, დელეგირებადმა მოდელმა ხელი შეუწყო კულტურების მზარდ ერთგვაროვნებას: შეირჩა ჯიშები ინტენსიური მეურნეობისთვის, ქიმიურ საშუალებებსა და სხვა ინტენსიური რესურსების გამოყენებაზე დამყარებული პრაქტიკების პირობებში.

შედეგად, მონაწილეობრივი სელექცია წარმოიშვა ფერმერების სურვილიდან, დაიბრუნონ შერჩევის შესახებ ცოდნა და, ამ გზით, გაზარდონ თვითკმარობა. ეს მიდგომა ცვლის როლებს — ფერმერები აქტიურად ერთვებიან შერჩევის პროცესის ყველა ეტაპზე. სისტემა თანაბრად აღიარებს როგორც ფერმერის, ისე მკვლევრის წვლილს. მონაწილეობრივი სელექციის მიზნები ასევე მოიცავს ისეთი პოპულაციების/ჯიშების განვითარებას, რომლებიც ადაპტირებულია ფერმერების მრავალფეროვან პრაქტიკებთან, და დინამიკური გენეტიკური მრავალფეროვნების ხელახლა შექმნას, რომელიც გარემოს ცვალებადობასთან ერთად ვითარდება (კლიმატის ცვლილება, პათოგენური ზეწოლა და სხვ.).

თუმცა, შერჩევის ამ რეჟიმის განვითარება დაკავშირებულია რეგულაციური ჩარჩოს ევოლუციასთან, რომელიც დღემდე მას სათანადოდ არ ასახავს. იმისათვის, რომ ჯიში როგორც ასეთი აღიარებულ იქნეს და ოფიციალურ კატალოგში დარეგისტრირდეს, ის უნდა აკმაყოფილებდეს „DHS“ კრიტერიუმებს (განსხვავებულობა, ერთგვაროვნება, სტაბილურობა). ამასთან, მონაწილეობრივად შერჩეული ჯიშებისთვის ხშირად სასურველია ჰეტეროგენული და ევოლუციური მახასიათებლები.

მონაწილეობრივი სელექცია არის პრაქტიკა, რომელიც ხელს უწყობს აგროეკოლოგიის განვითარებას, რადგან მიდგომით სცდება ტრადიციულ სამეცნიერო ჩარჩოს და ითვალისწინებს ტერიტორიის ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით პოტენციალს. იგი აძლიერებს ფერმერების ფინანსურ ავტონომიას, ხელს უწყობს ცოდნის გადანაწილებისა და გაზიარების სისტემას და ემსახურება ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასა და მდგრად გამოყენებას.“

ამ მასალაში ვეყრდნობით პრინციპს, რომ თემის ბიომრავალფეროვნებისა და აგრობიომრავალფეროვნების მმართველობა CSC-ებისა და CSB-ების საქმიანობის ბირთვს წარმოადგენს. ეს პრინციპი განსაზღვრავს CSB-ების მმართველობის ფორმას და ფერმერების, მებაღეების და სხვა მწარმოებლების ერთგულებას, კოლექტიურად შეასრულონ მცენარეთა გენეტიკური რესურსების (PGR) მეურვის/მცველის როლი.

კონკრეტული CSB-ის მმართველობითი მოწყობა დამოკიდებულია არჩეულ სამართლებრივ ფორმაზე, სტრუქტურის სიმწიფეზე, ადგილობრივ გარემოებებზე, სოციალურ აღქმებსა და კულტურულ გამოხატულებებზე (ცხოვრების წესზე, ტრადიციებზე და სხვ.).

ახლად ჩამოყალიბებულ CSC-ებსა და CSB-ებში მმართველობა, როგორც წესი, კოლექტიურად ხორციელდება იმ პირების (წევრების, ფასილიტატორების) მიერ, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი სამუშაოში. უფრო „მოზრდილ“ სტრუქტურებში, რომელთაც უკვე დაგროვილი აქვთ ისტორია, გამოცდილება და უფრო კომპლექსური საქმიანობა, მიზანშეწონილია უფრო რთული მმართველობის მოდელი.

ევროპაში CSB-ების უმეტესობა, რომლებიც არაკომერციული იურიდიული პირის სახით არის რეგისტრირებული, ფუნქციონირებს ასოციაციის, ქსელის, ფონდის ან კოოპერატივის ფორმით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ CSB-ები შესაძლოა კომერციულ სუბიექტებადაც არსებობდნენ; ევროპაში ასეთი მაგალითებიც გვხვდება.

ასოციაციებში, მმართველობის ფუნქციებზე უფლებამოსილი პერსონალის გარდა, გადაწყვეტილებებს იღებს საბჭო და საერთო კრება; ანალოგიური პრაქტიკაა

ფონდებშიც. მართვის პერსონალს (მენეჯმენტს) ასევე ეკისრება გარკვეული გადაწყვეტილებების მიღების პასუხისმგებლობა.

C. თემის ნდობის ფონდები

CSC-ის ან CSB-ის დაწყებისას მიზანშეწონილია განიხილოს თემის ნდობის ფონდის შექმნის შესაძლებლობა. მისი დანიშნულებაა თემის წევრების ჩართვა და მოტივირება, რათა მათ აქტიურად მიიღონ მონაწილეობა CSB-ის მმართველობასა და მდგრადობის უზრუნველყოფაში.

თეორიულად, ფონდი დაკავშირებული იქნება CSB-ის კონკრეტულ საჭიროებებთან. მისი ფუნქცია შესაძლოა იყოს თემისთვის რესურსების მიწოდებაც იმ სახსრებიდან, რომლებიც გენეტიკური რესურსების გამოყენებიდან წარმოიქმნება წვდომისა და სარგებლის გაზიარების (ABS) მექანიზმების გზით.

კარგ მაგალითს წარმოადგენს იტალიური თესლის ქსელი და CSB „Rete Semi Rurali“ (RSR), რომელიც მუშაობს შემდეგი მიზნების მისაღწევად:

1) ქსელის ეკონომიკური მდგრადობის მიმართ წევრების ვალდებულების/ერთგულების გაზრდა;

2) ინდივიდუალური მხარდამჭერების ბაზის გაფართოება ქსელის გარე კომუნიკაციისა და ინფორმირების აქტივობების გაუმჯობესებით, ასევე CSB-დან შემოთავაზებული ჯიშებისა და პოპულაციების თესლის ასორტიმენტის გაძლიერებით;

3) მდგრადობის ფონდის შექმნა, რომლის ფუნქციონირების წესები წევრებს შორის შეთანხმდება და ზედამხედველობას გაუწევს საბჭო; ფონდი დააგროვებს წევრებისა და მხარდამჭერების შენატანებს და შემდეგ კვლავ RSR-ის საქმიანობასა და სერვისებში დააბრუნებს ინვესტიციას.

როგორ შეუძლია CSB-ს დაარეგულიროს მის მიერ განაწილებულ თესლზე წვდომა და სარგებლის გაზიარება?

სასურსათო და სოფლის მეურნეობისთვის მცენარეთა გენეტიკური რესურსების საერთაშორისო ხელშეკრულება (ITPGRFA) და ნაგოიას პროტოკოლი არეგულირებს თესლის განაწილებასთან დაკავშირებულ წვდომასა და სარგებლის გაზიარებას. https://openknowledge.fao.org/server/api/core/bitstreams/e0521161-1b06-4107-8f0f-70b838da908a/contentხშირად თესლი CSC-ს ან CSB-ს ფორმალური შეთანხმების გარეშე ხვდება; თუმცა CSB-ს შეუძლია აირჩიოს მუშაობა ITPGRFA-ს ჩარჩოში და გამოიყენოს სტანდარტული მასალის გადაცემის შეთანხმება (SMTA) (გთხოვთ, გაეცნოთ FAO-ს მასალას: https://www.fao.org/plant-treaty/areas-of-work/the-multilateral-system/smta/en/).

„ეს არის სტანდარტული ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს იმ პირობებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია მრავალმხრივი სისტემის ფარგლებში შეტანილი მცენარეთა გენეტიკური მასალის გადაცემისას, რათა საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისი დებულებები შესრულდეს. SMTA ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად ჩამოყალიბდა. იგი არეგულირებს გენეტიკური მასალის გაცვლას, ხელს უშლის მის არასწორ გამოყენებას და უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერი კომერციული სარგებელი სამართლიანად და თანასწორად განაწილდეს.“

SMTA-ს პირობები ვერ იცვლება, თუმცა მასში არსებობს პუნქტები/სექციები, რომლებიც თითოეული გამოყენებისთვის ინდივიდუალურად ივსება. SMTA-ს ონლაინ ფორმით შედგენა შესაძლებელია ექვს ენაზე; სურვილის შემთხვევაში, შეთანხმების ონლაინ გაფორმებაც შესაძლებელია Easy-SMTA აპლიკაციის მეშვეობით. 2007 წლიდან 2021 წლის შუა პერიოდამდე კვლევის, ტრენინგისა და მცენარეთა სელექციის მიზნით მცენარეთა მასალის გადასაცემად გამოყენებული იქნა 84 000-ზე მეტი SMTA.

SMTA გამოიყენება მასალის გადაცემისას კვლევის/სელექციის მიზნებისთვის. თუ მასალა მოითხოვება არასასურსათო/არასამეურნეო მიზნებით ან არ ექცევა ITPGRFA-ს მოქმედების არეალში (მაგალითად, დანართ 1-ში არ შესული სახეობა, ან ნებისმიერი სახეობა, რომელიც ითხოვება კომერციული კოსმეტიკური პროდუქტის შესაქმნელად), CSB-ს შეუძლია აირჩიოს ბიომრავალფეროვნების კონვენციისა და ნაგოიას პროტოკოლის ჩარჩოს გამოყენება (თუ ქვეყანა მასზე მიერთებულია და დებულებები დანერგილი აქვს) ან შეიმუშაოს საკუთარი, კერძო შეთანხმებები/ხელშეკრულებები ასეთი შემთხვევებისთვის.

რატომ გამოვიყენოთ SMTA?

SMTA მნიშვნელოვან სარგებელს აძლევს როგორც მომწოდებელს, ისე მიმღებს. მან შეიძლება: უზრუნველყოს მათთვის მასალის განაწილებასა და გამოყენებაზე კონტროლი; დაეხმაროს კვლევის შედეგებზე წვდომაში — როგორც ინფორმაციული მიზნებისთვის, ისე კომერციული გამოყენებისთვის.

შვეიცარიული ProSpecieRara-ს (შვეიცარია) მაგალითი წვდომისა და სარგებლის გაზიარების მიმართულებით:

ორგანიზაციის მიზანი იყო საკუთარი კოლექციიდან თესლზე წვდომა გაეხადა მარტივი და იაფი. ProSpecieRara-ს ქსელის წევრებს შორის გაცვლა ფორმალური ABS-შეთანხმების გარეშე ხორციელდება. თუმცა გარე მომხმარებლებსა და კომპანიებს, რომლებიც PSR-ის მიერ დაცულ ჯიშებს სელექციის, კვლევის ან განვითარების მიზნით იყენებენ, მოეთხოვებათ ხელშეკრულების ხელმოწერა. კულტურათა სელექციონერებისთვის ასეთი ხელშეკრულება არის ITPGRFA-ს სტანდარტული მასალის გადაცემის შეთანხმება (SMTA). დეკორატიული მცენარეების სელექციონერებისთვის და იმ მიზნებისთვის, რომლებიც არ უკავშირდება კვლევას სასურსათო და სოფლის მეურნეობის სფეროებში (მაგ., კოსმეტიკა, მედიკამენტები ან

არომატიზატორები), გამოიყენება სხვა ტიპის ხელშეკრულება, რომელიც მომხმარებელთან ერთად თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად ყალიბდება.

ზემოაღნიშნული პროცესი პრაქტიკაში შემდეგნაირად ხორციელდება:

როდესაც მომხმარებელი PSR-ის ვებგვერდზე (Variety Finder ფუნქციონალის გამოყენებით) თესლს ან გამრავლების მასალას უკვეთავს, მას შეუძლია აირჩიოს ორი ვარიანტიდან ერთ-ერთი. პირველ ვარიანტს მომხმარებელი ირჩევს იმ შემთხვევაში, თუ არ აპირებს ჯიშის გამოყენებას კომერციული, სელექციური ან კვლევითი მიზნებით და არც მესამე მხარისთვის გადასცემს მას ამ მიზნებისთვის — ასეთ შემთხვევაში მასალა გაიცემა ფორმალური ხელშეკრულების გარეშე (პირდაპირი გამოყენებისთვის).

მეორე ვარიანტზე არჩევის შემთხვევაში, თუ ჯიში განკუთვნილია კვლევისა ან სელექციისთვის, მომხმარებელი გადამისამართდება გვერდზე, სადაც SMTA-ს ხელმოწერა ხდება. თუ მიზანი კვლევა და კომერციული განვითარებაა სხვა, არასასურსათო/არასამეურნეო სექტორებში, მომხმარებელი გადამისამართდება განმარტებით გვერდზე, სადაც აღწერილია, როგორ შეიქმნება კონკრეტული შემთხვევისთვის ად-ჰოკ წვდომისა და გამოყენების ხელშეკრულება.

Easy-SMTA

ITPGRFA-ს ფარგლებში ხელმისაწვდომია საინფორმაციო ტექნოლოგიების ინსტრუმენტი Easy-SMTA, რომელიც მომხმარებლებს ეხმარება SMTA-ების შედგენასა და გენერირებაში საერთაშორისო ხელშეკრულების ექვს ოფიციალურ ენაზე, აგრეთვე — იმ SMTA-ების ანგარიშგებაში, რომლებიც გაფორმებულია ხელშეკრულების მმართველი ორგანოს მიერ დადგენილი ინსტრუქციების შესაბამისად. ასეთი ინსტრუმენტი შეიძლება ინტეგრირდეს ნებისმიერი ორგანიზაციის გენეტიკური მასალის მონაცემთა ბაზაში, რათა SMTA-ით განხორციელებული გადაცემების გენერირება და ანგარიშგება კიდევ უფრო ავტომატიზდეს და ინფორმაცია ავტომატურად გადაეგზავნოს ხელშეკრულების სამდივნოს. იტალიური თესლის ქსელი RSR მსგავს ინტეგრაციაზე მუშაობს საკუთარ ბაზაში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება უკავშირდება მასალის ტიპს: რა ვუყოთ იმ ჯიშებს ან პოპულაციებს, რომლებსაც ფერმერები ან ფერმერთა ასოციაციები შერჩევისა და სელექციის გზით ქმნიან?

ფერმერებს (ან მათ სახელით CSB-ს) შეუძლიათ განსაზღვრონ პირობები PGR-ის გამოყენებაზე. თუ ფერმერები ან CSB-ები არ მიმართავენ პატენტის ან სელექციონერის უფლებების (Plant Breeders' Rights) რეგისტრაციას მათ მიერ შექმნილ მასალაზე, ინტელექტუალური საკუთრების თვალსაზრისით ეს მასალა საჯარო დომენში ექცევა. საჯაროდ სანქცირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების არქონა ნიშნავს, რომ სახელმწიფო ადმინისტრაცია ვერ აღიარებს და ვერ დაიცავს ფერმერების მონოპოლიას მათ ჯიშებზე; თუმცა ფერმერებს კვლავ შეუძლიათ საკუთარი უფლებების დაცვა ჯიშების გაზიარების კონტროლით/შეზღუდვით. თვითშექმნილი მასალისთვის ფერმერები თავისუფლები არიან გადაწყვიტონ, გააზიარებენ თუ არა მასალას ITPGRFA-ს სტანდარტული მასალის გადაცემის შეთანხმების (SMTA) გამოყენებით, დაამატებენ თუ არა დამატებით პირობებს, ან საერთოდ სხვა ტიპის ხელშეკრულებას გამოიყენებენ. ევროპული CSB-ების ბევრმა ინიციატივამ ჩამოაყალიბა გარკვეული წესები წვდომისა და სარგებლის გაზიარების შესახებ წევრებსა და გარე მომხმარებლებს შორის გენეტიკური მასალის განაწილებისა და გაცვლისას. DIVERSIFOOD პროექტის ფარგლებში ევროპულ CSB-ებში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ინიციატივების დაახლოებით ნახევარი გარკვეულ უფლებებს ან სერვისებს უტოვებს მხოლოდ წევრებს ან იმ მონაწილეებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი CSB-ის საქმიანობაში. თესლსა და გამრავლების მასალაზე, ასევე მასთან დაკავშირებულ მონაცემებზე წვდომა სრულად ან პრიორიტეტით ეძლევა ამ სპეციალურ ჯგუფებს; ისინი, ჩვეულებრივ, ფერმერებისა და ჰობი-მებაღეებისგან შედგება და „პირდაპირ მომხმარებლებად" (direct users) მოიაზრება — ისინი არ არიან ჩართულნი ფორმალურ ექსპერიმენტირებაში, ტრენინგში ან კვლევაში და არც მიღებული თესლის საფუძველზე განხორციელებულ კომერციულ განვითარებაში.

ასეთი პრეფერენციული მიდგომა ხშირად მიზნად ისახავს წევრობის ან აფილირების გზით გარკვეული ეკონომიკური მხარდაჭერის მოზიდვას. სხვა სიტყვებით, ის არ არის განპირობებული რესურსების „პრივატიზების“ მცდელობით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება აშკარად საჯარო დომენში მყოფ რესურსებს — მაგალითად, ლანდრეისებსა და ძველ ჯიშებს. პრაქტიკაში CSB აღრიცხავს მიმღებს, ტრანზაქციის თარიღს და გადაცემულ რესურსს (ტიპი და რაოდენობა). მომხმარებლისგან მოთხოვნილი ერთადერთი ვალდებულება ხშირად არის მოსავლის აღების შემდეგ მიღებული თესლის ნაწილის დაბრუნება CSB-ის მარაგის შესავსებად. ეს, როგორც წესი, არავალდებულო პუნქტია და მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როდესაც მომხმარებლის მოსავალი საკმარისია თესლის დასაბრუნებლად. ზოგი CSB შესაძლოა სთხოვდეს მიმღებს თესლის გადაზიდვის ხარჯის დაფარვას და/ან იმ ინფორმაციის მიწოდებას, თუ როგორ იმუშავა ჯიშმა იმ ადგილობრივ კონტექსტში, სადაც იგი მოიყვანეს.

ზოგი უფრო მსხვილი CSB საკუთარ პოლიტიკას ეროვნულ ან საერთაშორისო ჩარჩოებს უთანხმებს. ასეთი გადაწყვეტილება მიიღება მაშინ, როდესაც CSB თანამშრომლობს მრავალ და განსხვავებულ მომხმარებელთან, მათ შორის ფერმერებსა და მებაღეებთან, ასევე ფორმალურ ორგანიზაციებთან, რომლებიც გარკვეულ დონეზე ჩართულნი არიან კვლევაში, ტრენინგსა და PGRFA-ს ირგვლივ განვითარებაში (მაგ., ეროვნული გენბანკები). ეს ზრდის CSB-ების თესლის განაწილების საქმიანობის სამართლებრივ სიცხადესა და ლეგიტიმურობას და სასარგებლოა იმ შემთხვევაშიც, როდესაც CSB-დან გადაცემული რესურსი არასწორად გამოიყენება და დავის გადაწყვეტაა საჭირო.

როგორ შეუძლია ფერმერს ან CSB-ს მიიღოს PGR ფორმალური (ინსტიტუციური) ექს სითუ კოლექციებიდან?

ფორმალურ გენბანკებს (ეროვნულ და საერთაშორისო) შეუძლიათ, მოთხოვნის საფუძველზე, ფერმერებს ან მათ კოლექტიურ სტრუქტურებს უშუალოდ გადასცენ თესლი ძალიან მცირე რაოდენობით და მომხმარებლების მკაცრი შერჩევის პირობებში. როგორც წესი, ისინი ნიმუშებს უფრო მეტად სელექციონერებსა და მკვლევრებს აწვდიან. მიუხედავად ამისა, თესლის დაბრუნება ფერმერულ გამოყენებაში გენბანკებმა ჯერ კიდევ 1990-იანი წლების დასაწყისში დაიწყეს. ამჟამად გენბანკები აფიქსირებენ მოთხოვნების ზრდას ფერმერებისგან, თესლის მცველებისგან ან CSB-ების ქსელებისგან, რომლებიც „პირდაპირ მომხმარებლებად“ მოიაზრება, რათა ჯიშები კვლავ დაბრუნდეს კულტივირებაში ან გამოყენებულ იქნას მონაწილეობრივ ადგილზე (on-farm) კვლევასა და ექსპერიმენტირებაში.

გენბანკების მიდგომები თესლის მიწოდების მხრივ პირდაპირი მომხმარებლებისთვის
ევროპის გენბანკების კვლევამ აჩვენა, რომ მათ უმეტესობას (70%) პირდაპირი მომხმარებლების მოთხოვნებთან მუშაობისთვის სპეციალური პოლიტიკა არ აქვს. ხშირად გამოიყენება SMTA-ს გამარტივებული ფორმა. დაახლოებით 22% კი საერთოდ არ იყენებს გადაცემის შეთანხმებას.
ადგილზე (on-farm) / პირდაპირ მომხმარებლებთან თანამშრომლობისას გენბანკები, როგორც წესი, მომხმარებლებს მინიმალურ რაოდენობის თესლს აწვდიან, რადგან იციან, რომ ეს რაოდენობა საკმარისი არ არის კოლექტიური მოყვანისა და თემის მიერ პირდაპირი გამოყენებისთვის.
ზოგი გენბანკი დაინტერესებულია ჩაერთოს ადგილზე მოქმედი ქსელებისა და თემების მიერ ინიცირებულ პროექტებში, რათა მოხდეს თესლის გამრავლება და შემდგომ განაწილებისა და დაუყოვნებლივი გამოყენებისთვის გონივრული რაოდენობების მიღება.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ზოგი გენბანკი, მათ შორის ნორდიკული გენეტიკური რესურსების ცენტრი (NordGen), ფერმერებისა და მებაღეებისგან მოთხოვნების მზარდ რაოდენობას იღებს. პასუხად, უფრო ინტენსიური თანამშრომლობა დაიწყო ეროვნულ თესლის მცველთა ქსელებთან და თემის თესლის ბანკებთან. შემუშავდა მონაწილეობრივი მცენარეთა კონსერვაციისა და სელექციის ფორმატი „მომხმარებლის გენბანკის“ სახით, რომელიც იღებს თესლის გამრავლებისა და განაწილების ამოცანებს, აგრეთვე აგროვებს მონაცემებს თესლის შედეგიანობისა და მახასიათებლების შესახებ.

https://openknowledge.fao.org/server/api/core/bitstreams/40f3b212-8e08-410e-9dae-c92816f68729/contentმონაწილეობრივი მცენარეთა სელექცია (PPB) ხორციელდება ფერმერთა სავარგულებზე; ჯიშების შერჩევა და შეფასება ერთობლივად მიმდინარეობს მცენარეთა სელექციონერებისა და ფერმერების მიერ. შესაბამისად, როდესაც ასეთი ჯიშები ეროვნული სისტემის მიერ რეგისტრირდება, საკუთრების/უფლებების საკითხშიც ფერმერები და მათთან დაკავშირებული ინსტიტუცია მონაწილეობენ. გთხოვთ, გაეცნოთ შემდეგ მასალას: https://www.google.com/url?q=https://www.perspektive-landwirtschaft.ch/post/partizipative-pflanzenz%C3%BCchtung&sa=D&source=docs&ust=1669542270142690&usg=AOvVaw2iJy-63eC0yL-_GDtxuStC

გერმანიის ეროვნული გენბანკი (IPK) პირდაპირ გამოყენებას საკუთარ მანდატში პრიორიტეტად არ მიიჩნევს. თუმცა ის ცდილობს დაინტერესებულ ფერმერებსა და მებაღეებს ხელმისაწვდომად გაუხადოს გენეტიკური მასალა და ამისთვის ითხოვს ფიქსირებულ გადასახადს დამუშავებისა და გადაზიდვის ხარჯების დასაფარად.

ნიდერლანდების CGN თითოეულ პირდაპირი გამოყენების მოთხოვნას ინდივიდუალურად აფასებს და, თუ მიიჩნევს, რომ მომხმარებელს იგივე ან მსგავსი მასალის მიღება შეუძლია უფრო არაფორმალური წყაროდან (იმ თესლის ქსელიდან ან

CSB-დან, რომელიც მათთვის ცნობილია), შესაძლოა მოთხოვნა უარყოს და მომხმარებელი ალტერნატიულ წყაროებთან მიმართოს.

შეჯამების სახით, თესლის ქსელებსა და CSB-ებს შეუძლიათ დაეხმარონ მებაღეებსა და ფერმერებს გენბანკებიდან თესლის მიღებაში მათთან სამუშაო ურთიერთობების ჩამოყალიბებით.

გენბანკებისთვის PGR მასალის მიწოდებას ამარტივებს მაშინ, როდესაც მოთხოვნა ფორმალიზებულ ჩარჩოში ხორციელდება (CSB-ების ან თესლის ქსელების მეშვეობით) — ადგილზე (on-farm) რეინტროდუქციის, გამრავლების, ექსპერიმენტირების, ზრდა-გამრავლებისა და ტესტირების მიზნით. თესლის ქსელებისა და CSB-ების გენბანკებთან თანამშრომლობა ასევე ზრდის თესლზე ეფექტიან წვდომას და ამცირებს სირთულეებს, მათ შორის ინდივიდუალური მომხმარებლისთვის სამართლებრივი შეთანხმების საჭიროებას, რადგან მოთხოვნა კოლექტიურად განიხილება და არ ეკისრება ერთ კონკრეტულ ფერმერს ან მებაღეს.

როგორ უნდა გადაწყვიტონ ფერმერებმა, მისცენ თუ არა მესამე პირებს წვდომა მათ საკუთრებაში არსებული კულტურებისთვის მზარდ PGR-ზე?

ველური ბუნებიდან და ფერმერთა სავარგულებიდან — კულტურების სელექციის, კვლევისა და კონსერვაციის მიზნით — თესლის, მცენარეების ან მათი ნაწილების (გერმპლაზმის) შეგროვება მიიჩნევა გენეტიკური რესურსების მოპოვების აუცილებელ ამოცანად, მათი კონსერვაციისა და გამოყენებისთვის.

ბევრი ძირითადი კულტურა გენბანკების ექს სითუ კოლექციებში საკუთარი გენეტიკური მრავალფეროვნებით წარმოდგენილია, მაშინ როდესაც ნაკლებად

გავრცელებული კულტურები და მათი ველური ნათესავები ხშირად სათანადოდ არ არის წარმოდგენილი.

ზოგ გენბანკთან კონსულტაცია აჩვენებს, რომ მათი შეგროვების პრაქტიკა ყოველთვის სისტემური და რეგულირებული არ არის. ევროპაში შეგროვებაზე ნებართვის მისაღებად შესაძლოა საჭირო გახდეს შესაბამის ორგანოებთან (ეროვნულ, რეგიონულ, ადგილობრივ) მიმართვა. გარდა ამისა, შემგროვებლებმა უნდა მიიღონ ნებართვა იმ მიწის მფლობელისგან, სადაც მცენარეთა ნიმუშებია აღმოჩენილი.

დანართ 1-ში შესული კულტურებისთვის, (მათ შორის ველური მცენარეები, ასევე ტრადიციული კულტურული ჯიშები, რომლებიც მიღებულია ფერმერებისგან ან ბაზრებიდან) მზარდი PGR-ის შეგროვებაზე გავრცელებული ITPGRFA-ს რეგულაციები დამატებით განმარტებას მოითხოვს, რადგან არსებული დებულებები საკმარისად მკაფიო არ არის.

ამასთან, გამარტივებული წვდომის სისტემა განკუთვნილია იმ რესურსებზე გასავრცელებლად, რომლებიც ეროვნული მთავრობების მართვისა და კონტროლის ქვეშაა და საჯარო დომენში იმყოფება — მიუხედავად იმისა, სად არის ისინი აღმოჩენილი (ექს სითუ თუ ინ სითუ/ფერმერულ მეურნეობაში). ხელშეკრულება ასევე მიუთითებს, რომ ინ სითუ/ფერმერულ პირობებში არსებული PGRFA-ზე წვდომა უნდა უზრუნველყოფილ იქნეს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად ან ხელშეკრულების მმართველი ორგანოს მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით.

როგორც ცნობილია, ევროკავშირის ABS რეგულაციაც განსაზღვრავს, რომ იქამდე, სანამ ITPGRFA არ დაადგენს წვდომის პოლიტიკას დანართ 1-ში ჩამოთვლილი კულტურების გენეტიკური რესურსებისთვის, რომლებიც ინ სითუ პირობებში გვხვდება, ამ რესურსებზე წვდომა და მათი გამოყენება უნდა განხორციელდეს მიმწოდებელი ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით და დაექვემდებაროს ევროკავშირის ABS რეგულაციასაც (თუ რესურსზე წვდომა ხდება იმ ქვეყნიდან,

რომელიც ნაგოიას პროტოკოლის მხარეა და შესაბამისი წვდომის კანონმდებლობა მოქმედებს).

კერძო საკუთრებაში არსებული მიწიდან გერმპლაზმის შეგროვების საკითხი დაუზუსტებელია და პრაქტიკულად არ არის რეგულირებული. თუმცა, თუ ფერმერი ერთიანი ორგანიზაციის ან CSB-ის წევრია, მას შეუძლია მიიღოს სამართლებრივი მხარდაჭერა და დახმარება იმ შემთხვევაში, როდესაც გენბანკი ან სხვა ფორმალური ინსტიტუცია მის ნაკვეთზე გერმპლაზმის შეგროვებას გეგმავს.

წყაროები

1. https://edepot.wur.nl/383197ფერმერებზე დაფუძნებული წვდომისა და სარგებლის გაზიარების პრაქტიკიდან მიღებული გაკვეთილები: დასკვნები. https://www.fao.org/plant-treaty/areas-of-work/the-multilateral-system/smta/en/
2. https://www.researchgate.net/publication/379400680_Conservation_of_Plant_Genetic_Resources_in_Chinaჩინეთში მცენარეთა გენეტიკური რესურსების კონსერვაცია. https://link.springer.com/chapter/10.1007/978-3-319-08153-7_16

Interreg Co-funded by the European Union
NEXT Black Sea Basin
SeedGuard

დოკუმენტი მომზადებულია წამყვანი პარტნიორის —UBBSLA-ს მიერ, პროექტის **BSB00450 SEEDGUARD** ფარგლებში.
ამ მასალის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი. მასალის შინაარსი შესაძლოა არ ასახავდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას. მასალის გავრცელება ნებადართულია წყაროს სავალდებულო მითითებით და ნებისმიერი ცვლილების აღნიშნვით.